



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 13 მაისი

**დისციპლინური საქმე №36/20
მოსამართლე -- -- მიმართ**

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 23 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 8 აპრილის №121/36-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორის პრეტენზია მოსამართლის მიერ ცალკეული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხებისადმი დაფიქსირებულ პოზიციებს და მსჯელობებს შეეხება, რომელიც მისი განცხადებით, სცილდება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს და მოსამართლისადმი დადგენილი მაღალი სტანდარტის შეუსაბამო მსჯელობებს შეიცავს. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ თვითნებურად განიხილა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი.

2.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადა.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 26 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხის - -- -- მიმართ სახელფასო დავალიანების გადახდის მოთხოვნით.

2018 წლის 26 ივლისის განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა; -- -- აკრძალა კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს -- -- დაევალა -- -- სასამართლოს მიერ გაგზავნილი სარჩელის და თანდართული მასალების ასლების ჩაბარება.

2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე -- -- საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა, რომ მის წინააღმდეგ სასამართლოს წარმოებაშია -- -- სარჩელი თანხის დაკისრების თაობაზე. 2018 წლის 22 ნოემბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 27 ნოემბერს მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა სასამართლოში წარადგინა საჩივარი 2018 წლის 26 ივლისის განჩინებაზე, ითხოვა მისი გაუქმება და მოსარჩელის მხრიდან მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

2019 წლის 10 იანვრის განჩინებით მოპასუხე -- -- საჩივარი დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი და საქმის მასალასთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2019 წლის 10 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 20 მარტის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2019 წლის 15 აპრილს.

სასამართლო სხდომები გაიმართა 15.04.2019; 27.05.2019; 09.07.2019; 30.07.2019; 06.08.2019; 15.08.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 5 ივნისს -- -- წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმეზე მტკიცებულებების დართვის და მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით.

2019 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- -- მიმართ სახელფასო დავალიანების დაკისრების თაობაზე - არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 12 სექტემბერს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ითხოვა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

დისციპლინური სამართალწარმოება, ვერ იქნება განხილული როგორც ზემდგომი ინსტანცია და ვერ მოხდება მსჯელობა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. დისციპლინური წარმოების ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ დისციპლინური გადაცდომების შესახებ არსებული სავარაუდო ფაქტების შეფასება და ის ვერ შეცვლის მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშის შესაბამისად (CommDH(2012)10, 23.02.2012) „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80).

ვინაიდან, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ინსტანციას, იგი ვერ შეცვლის ან ხელახლა ვერ განიხილავს საქმეს. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს სასამართლოების მიერ სავარაუდოდ დაშვებულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ შეცდომაზე, ისევე როგორც არ არის უფლებამოსილი ეჭვქვეშ დააყენოს საქმეზე დამდგარი სამართლებრივი შედეგი ან გამოასწოროს იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, მოსამართლის მიერ თვითნებურად სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად განხილვასთან დაკავშირებით სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ ხანდაზმულობა მოპასუხე მხარის ერთ-ერთ შედავებას წარმოადგენდა. ამასთან საყურადღებოა, რომ აღნიშნული ფაქტი არ გამხდარა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი და სასამართლო მას მხოლოდ დამატებით საფუძვლად განიხილავდა.

აღნიშნული სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. აღნიშნული, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამოუკიდებელი ინსპექტორი მსჯელობს მხოლოდ მოსამართლის ქმედებაზე დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით, ხოლო მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერების შეფასების საკითხი არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.
2. გაგრძელდეს №36/20 დისციპლინურ საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი